



ა.(ა).ი.პ. ვესტერნ დრაივერს

თარიღი: 03.08.2017

შეჯიბრების დებულება

**“ვესტერნ დრაივერს” -ის 2017 წლის თასი
საავტომობილო დრაგში
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
სოფ. ინგირის აეროპორტი**

05.08.2017 წ.

1. შეჯიბრების პროგრამა:

შაბათი – 05.08.2017

- | | |
|--|---------------|
| 1. მონაწილეების რეგისტრაცია | 09:00 - 12:00 |
| (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - სოფ. ინგირის აეროპორტი) | |
| 2. ტექ. დათვალიერება | 09:00 - 12:00 |
| (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - სოფ. ინგირის აეროპორტი) | |
| 3. კვალიფიკაცია | 13:00 - 15:00 |
| (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - სოფ. ინგირის აეროპორტი) | |
| 4. შედეგების შეჯამება | 15:00 - 16:00 |

შაბათი – 05.08.2017

- | | |
|--------------------------|------------------------------|
| 1. ღონისძიების დასაწყისი | 13:00 |
| 2. პროტესტი | არ მიიღება |
| 3. დაჯილდოება | შეჯიბრების დამთავრებისთანავე |

2. შეჯიბრების ორგანიზატორი და ოფიციალური პირები

შეჯიბრების ორგანიზატორი: ა.(ა).ი.პ. „ვესტერნ დრაივერს კლუბი“

TEL: 557 58 88 00;

mail: iraklish.shonia.87@mail.ru

3. ოფიციალური პირები

შეჯიბრების ხელმძღვანელი	ირაკლი შონი - 557 58 88 00
მთავარი მსაჯი	გიორგი შონია - 568 198 819
უსაფრთხოების კომისარი	მანუჩარ ჩილაჩავა – 595 277 525

4. შეჯიბრების ტრასა:

1. ტრასის სიგრძე: 402მ (მეტრი)
2. შეჯიბრების ხანგრძლივობა: 7 საათი.

5. შეჯიბრების პირობები

ღონისძიება ტარდება საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციისა (სსფ) და საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსის შესაბამისად და დრავის რეგლამენტის მოთხოვნებით შემდეგ კლასებში:

შეჯიბრების სტრუქტურა

- მონაწილე ავტომობილი უნდა წარმოადგენდეს მწარმოებლის მიერ სერიულად წარმოებულ მოდელს, მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ავტომობილის ტექ. პასპორტი. სამოყვარულო კლასში მონაწილე ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს აღჭურვილი ქარხნული, ან ისეთი ძრავით, რომელიც სერიულად იწარმოებოდა კონკრეტული მოდელის ავტომობილისთვის;

რბოლისთვის დაშვებული ავტომობილების კლასები, ჯგუფები და კატეგორიები:

- მონაწილეები დაიყოფიან სამოყვარულო და PRO კლასებში ავტომობილების კონფიგურაციის მიხედვით.

სამოყვარულო კლასები:

- A კლასი (0-3000 cc) უკანა და წინა ამძრავიანი
- B კლასი (3100-5500cc) უკანა და წინა ამძრავიანი
- C კლასი (5501-7700 cc) უკანა და წინა ამძრავიანი
- D კვადროკლასი 4X4 AWD stoc

PRO კლასები:

- E მონსტერ PRO კლასი
- F PRO კვადრო კლასი

- ძრავის კონფიგურაციისა და დაბერვის სისტემების გათვალისწინებით, ავტომობილებს ენიჭებათ კოეფიციენტები. კოეფიციენტთან ძრავის შესაბამისობის შემთხვევაში, მისი კუბატურა მრავლდება კოეფიციენტზე, რის შედეგადაც ავტომობილი მონაწილეობას იღებს შესაბამის სარბოლო კლასში.

- ორი ან მეტი კოეფიციენტის შესაბამისობის შემთხვევაში ძრავის კუბატურის გამრავლება კოეფიციენტებზე ხდება თანმიმდევრობით.

- ძრავებს კოეფიციენტები ენიჭებათ შემდეგნაირად:

- ქარხნული აღჭურვილობის ტურბოდაბერვით ავტომობილები 1.7

- ქარხნული აღჭურვილობის კომპრესორიანი ავტომობილები - 1.4
- როტორული ძრავით აღჭურვილი ავტომობილები - 1.9
- გაზრდილი წარმადობის არა ქარხნული კომპრესორებით, ტურბოდაბერვით აღჭურვილი ავტომობილები - 1.9
- BMW M სერიის ინდივიდუალური დროსელებით აღჭურვილი ძრავები - 1.4
- ცენტრალუარდ, ან ძარის უკანა ნაწილში განთავსებული ძრავები - 1.5

გასვაკული ავტომობილები ავტომატურად მაღალ კლასში მოხვდებიან სპორტული საბურავები *(სლიკები) დაშვებულია ყველა კატეგორიაში. არა ქარხნული არა სტანდარტული. გაშკივული. გაზ/ტურბო დაშლილი მონსტრები მონსტრ კლასში მოხვდებიან ავტომატურად.

1. მონაწილეს უნდა ჰქონდეს მართვის მოწმობა შესაბამისი კატეგორიით (A, B და ა.შ.)

2. მონაწილეს უფლება აქვს გაიაროს რეგისტრაცია თავის სასრუველ კლასში (თუ ავტომობილი აკმაყოფილებს შესაბამისი კლასის მოთხოვნებს) და მიიღოს მონაწილეობა ღონისძიებაში (დრაგი).

3. ორგანიზატორს აქვს უფლება დრაგის მოთხოვნების და წესების თანახმად მონაწილეს შეუცვალოს კლასი.

4. შეჯიბრების მსაჯებს და სსსფ-ს მიერ დანიშნულ კომისარს აქვთ უფლება დრაგის წესების თანახმად შეაჩერონ შეჯიბრება დროზე ადრე თუ მონაწილეების და მაცურებლების უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

5. შეჯიბრების მსაჯებს აქვთ უფლება დისკვალიფიკაცია მისცენ მონაწილეებს თუ ისინი არ ემორჩილებიან ან არღვევენ დრაგის წესებს.

6. შეჯიბრების წესები:

1. სტარტი: მსაჯის მითითებით და სპეციალურად დამონტაჟებული შუქნიშნით.

2. ფინიში: ზოლის გადაკვეთით.

3. გამყოფი ზოლის გადაკვეთა აკრძალულია და ისჯება დისკვალიფიკაციით.

4. ნაადრევი სტარტის (ფალ სტარტი) ორჯერ განმეორების შემთხვევაში მონაწილეს ეთვლება წაგება.

5. ნაადრევ სტარტად ითვლება სტარტის ხაზის გადაკვეთა და არა საბურავის დატრიალება.

6. ყველა მონაწილე ვალდებულია გაიკეთოს უსაფრთხოების ღვედი და სპეციალური ჩაფხუტი (ავტო და მოტო რბოლებისთვის გათვალისწინებული), რომელიც უნდა იყოს შეკრული შესაბამისი წესით.

7. მონაწილეს აქვს უფლება თავისი კუთვნილი ავტომობილით შეიყვანოს ორი მექანიკოსი.

8. შეჯიბრებაში მონაწილეობის საფასური:

- მსუბუქი ავტომობილები: 50 (ორმოცდა ათი) ლარი და 00 თეთრი.

9. აღნიშნული დებულებით გათვალისწინებულ ყველა კლასში დასაშვებია სლიკები და ნახევრად სლიკები (სპეციალური სპორტული საბურავები), უსაფრთხოების ნორმების დაცვით დამონატაჟებული მეთანოლის სისტემა და სხვა ოქტანობის ასამაღლებელი საშუალებები.

10. A, B,C, და 4X4 სტანტარტულ კლასში დაშვებულია წინა ორი სავარძლის შეცვლა სპეციალური სპორტული სავარძლით და შესაბამისი უსაფრთხოების ღვედებით.

11. A, B,C, და 4X4 სტანტარტულ კლასში იკრძალება დაშლილი ავტომობილით (ქარხნული დეტალების მოხსნა) მონაწილეობა. თუ მონაწილე თანახმა იქნება მსგავსი ტიპის ავტომობილი აიწვეს ერთი კლასით მაღლა.

12. A, B,C, და 4X4 სტანტარტულ კლასში იკრძალება შემდეგი მოდიფიკაციები: შეცვლილი ძრავი (რომლითაც არ გამოდიოდა ქარხნულად კონკრეტული ავტომობილი), ატმოსფერული ძრავი რომელზეც დაყენებულია ტურბინა ან კომპრესორი, ისევე როგორც შკივ დაპატარავებული კომპრესორი და ფრთებ შეცვლილი ტურბინა. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე ვერ მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრებაში ან აიწვეს კლასით მაღლა.

13. მონსტერ კლასებში დასაშვებია ავტომობილის დამსუბუქება (მსუბუქი ფრთა, ბამპერები, ძრავის განყოფილების ხუფი ა.შ.). დასაშვებია სავარძლების ამოღება, კარის, ჭერის და საბარგულის მოპირკეთების მოხსნა. ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ზომებს და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს მაყურებელს ან მონაწილეებს.

14. მრბოლელის უსაფრთხოების დაცვის მიზნით იკრძალება საწვავის ავზის კუსტარული მონტაჟი ა/მ სალონში და მყარად დაუმაგრებელი აკუმულიატორი.

7. დაჯილდოება:

A კლასი: პირველი ადგილი: თასი, მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მეორე ადგილი: მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მესამე ადგილი: მედალი, სიგელი

B კლასი: პირველი ადგილი: თასი, მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მეორე ადგილი: მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მესამე ადგილი: მედალი, სიგელი

C აბსოლუტ კლასი: პირველი ადგილი: თასი, მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მეორე ადგილი: მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მესამე ადგილი: მედალი, სიგელი

D კვადრო კლასი: პირველი ადგილი: თასი, მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მეორე ადგილი: მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მესამე ადგილი: მედალი, სიგელი

PRO კლასები:

E მონსტერ PRO:

პირველი ადგილი: თასი, მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მეორე ადგილი: მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მესამე ადგილი: მედალი, სიგელი

F პრო კვადრო:

პირველი ადგილი: თასი, მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მეორე ადგილი: მედალი, სიგელი, ფულადი პრიზი

მესამე ადგილი: მედალი, სიგელი